უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი 14.07.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ- ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი;
ბორის ლეჟავა - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნეს სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მიადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მარინა გედევანიშვილი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ვახტანგ წივწივაძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი;
3. ვლადიმერ სუხიშვილი - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
4. ეკატერინე სუხიშვილი - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. თამარ მელიქია - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ივანე ბალახაძე - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;
7. ლალი ქარელი - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
ზურაბ ჩხიკვაძე;
ეკა ეკალაძე;
შორენა ჯაფარიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:15 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებისგანხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება ავტორიზაციის სტატუსის მინიჭების პერიოდში ფლობდა შენობას მისამართზე ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №73, საერთო ფართით 7001 კვ.მ. და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 2000-ით. მას შემდეგ რაც უნივერსიტეტის მფლობელობაში გადავიდა მეორე შენობა, მდებარე თბილისში, ურეკის ქუჩა №2 საერთო ფართით 2967,83 კვ.მ და გაეზარდა გარკვეული მატერიალური რესურსი და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ოდენობა, უნივერსიტეტს სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 3500-ით. უნივერსიტეტმა 2015 წლის 16 ივნისის №521443 თხოვნით მიმართა ცენტრს - კონტინგენტის 1200 სტუდენტით გაზრდის თაობაზე.

ნოდარ ანგურიძის განმარტებით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაცია, კერძოდ:

1. ჩარგლის ქუჩა №73 აშენდა ა) 9-სართულიანი სასწავლო კორპუსი, სადაც, ვიზიტის დროს, სრულდებოდა სარემონტო სამუშაოები და ბ) სტუდენტური კაფე - დასრულებული. სასწავლო კორპუსის საერთო ფართი 3290,2 კვ.მ-ია. ხოლო სტუდენტური კაფის საერთო ფართია 305,7 კვ.მ. აღნიშნული ობიექტები საჯარო რეესტრის ამონაწერში არ ფიქსირდება, თუმცა შესაბამის საკადასტრო აზომვით ნახაზზე პუნქტირით არის აღნიშნული მე-6 და მე-7 შენობების სახით. უნივერსიტეტის კანცლერის განმარტებით (რომელიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელია), აღნიშნული გამოწვეულია იმის გამო, რომ: სასწავლო კორპუსი შეადგენს დაგეგმილი კომპლექსური მშენებლობის ნაწილს, რომელიც ჯერ არ დასრულებულა (ასაშენებელია სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი); აღმოჩენილია ხარვეზი ტექნიკურ ჩანაწერებში, რისი გამოსწორების შესახებაც მიმართეს თბილისის არქიტექტურის სამსახურს და საქმის წარმოება ჯერ არ დასრულებულა. გარდა ამისა აშენებულია იმაზე ნაკლები ფართი, ვიდრე მშენებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვითაა გათვალისწინებული და ცდილობენ ეს საკითხიც მოაქციონ სამართლებრივ ჩარჩოში;

2. იმის გამო, რომ უნივერსიტეტმა დაიმატა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ურეკის ქუჩაზე არსებული შენობის მიმდებარედ, უნივერსიტეტმა ააშენა იბერიულ-კოლხური ეთნოგრაფიული მარანი, უნივერსიტეტი გეგმავს მის გამოიყენებას სასწავლო დანიშნულებით. მარნის საერთო ფართი 272,9 კვ.მ-ია. საჯარო რეესტრის ამონაწერში ის მითითებულია, როგორც მშენებარე და შესაბამის საკადასტრო გეგმაზეც აღნიშნულია პუნქტირით. ამ შენობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ფაქტობრივი საფუძვლების ამსახველი ნახაზი. მშენებლობის შესახებ მერიის არქიტექტურის სამსახურს გაცემული აქვს შესაბამისი ნებართვა. აქვე აღნიშვნის ღირსია შემდეგი გარემოებები: მარნის მიმდებარედ

მოწყობილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ვაზის რამოდენიმე ათეული ქართული ენდემური ჯიშები; აქვეა „ქვევრები ღია გარემოში"-ღია მარანი, მსუბუქი გადახურვით (არაკაპიტალური შენობა). სასწავლო კორპუსის მიმდებარედ აშენებულია კაპიტალური შენობა დაახლოებით 70-80 კვ.მ., რომელიც უნივერსიტეტის კანცლერის განმარტებით (რომელიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელია), გამოყენებული იქნება ტიკვებისა და რუმბების დამამზადებელი საამქროს დანიშნულებით.
უნივერსიტეტმა გაზარდა და გეგმავს გაზარდოს მატერიალური რესურსი, რისთვისაც დადებული ჰქონდა ხელშეკრულებები. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის ხორციელდებოდა: 11 საბაკალავრო, 6 სამაგისტრო, 5 ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, 2 სადოქტორო, 1 სარეზიდენტო და ქართულ ენაში მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამების განხორციელებას უზრუნველყფდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ: პროფესორი - 24, ასოცირებული პროფესორი - 61, ასისტენტ-პროფესორი - 19.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რით იყო განპირობებული დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას 3000 სტუდენტამდე აქტიური სტუდენტი ერიცხებოდა. ამასთან, მიღება გამოცხადებული ჰქონდათ 700 სტუდენტზე, რომელთაგან თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე 10 ადგილი იყო გამოცხადებული და სურდათ 25 ადგილამდე გაზრდა. ამასთან, 14 სტუდენტისათვის მოხდა სტუდენტის სტატუსის შეჩერება გადასახადის გადაუხდელობის მიზეზით და მათი რაოდენობის ხარჯზე მოხდა 6 სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენა. დაწესებულება ფაქტიურად ვეღარ იღებდა მონაწილეობას სტუდენტთა გარე მობილობის პროცესში. გაზრდილი იყო უცხოელი სტუდენტების მიერ დაწესებულებით დაინტერესება, განსაკუთრებით მედიცინის ფაკულტეტზე. ეს იყო ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც გადაწყვიტა დაწესებულებამ გაეზარდა სტუდენტა ადგილების ზღვრული რაოდენობა. ამ მიზეზით დაწესებულების დამფუძნებლებმა იმავე ქუჩაძე ააშენეს 9 სართულიანი ახალი შენობა, რის საფუძველზეც დაემატა დაწესებულებას 30 ახალი აუდიტორია და აკადემიური პერსონალის 8 სამუშაო ოთახი, განახლდა და გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიხსნა სტუდენტური კაფე. გაიზარდა დაწესებულების წიგნადი ფონდი. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი 38 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაკორექტირდა საჯარო რეესტრის მონაცემები დაწესებულების სამივე ფართზე და შესაბამისი ამონაწერები თან ჰქონდა დაწესებულებას საბჭოს სხდომაზე წარმოსადგენად. ამასთან, ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი თანხების გადარიცხვის ქვითრებიც წარმოადგინა დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვები ხომ არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენელბისა და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესადა, დაწესებულების მიერ გაფორმებული მემორანდუმების შინაარსით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მაგალითად მილანის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაწესებულების 30 სტუდენტი მიდიოდა მილანში სასწავლებლად. აღნიშნული განპირობებული იყო დაწესებულების მიერ წამოწყებული უნიკალური მარანის იდეით. დაწესებულების საკუთრებაში არსებული მარანი პოპულარიზაციას გაუწევდა ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დღეისათვის დაწესებულებაში უნდა ირიცხებოდეს 384 აქტიური უცხოელი სტუდენტი, ისინი ჩარიცხულები იყვნენ თუმცაღა, სახელმწიფოს მიერ შემოღებული გამკაცრებული სავიზო რეგულაციების პირობებში, დაბრკოლებები შეექმნა მათ შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე. დაწესებულება მთელი წლის მანძილზე ახორციელებდა აღნიშნული სტუდენტების ამორიცხვას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201951637) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4700-ით.

2. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალა - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკე ეკალაძემ. მისი თქმით, დაწესებულებაში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების **ადამიანური რესურსის** გადამოწმება.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში 11 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო პროგრამას ახორციელებდა 79 აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (22 პროფესორი, 56 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ–პროფესორი) და 115 მოწვეული პედაგოგი. დაწესებულებაში ირიცხება 898 სტუდენტი.

მონიტორინგის ვიზიტის დროს გადამოწმდა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, რომელიც მოიცავდა შემდეგი სახის დოკუმენტაციას: CV, პირადობის მოწმობის ასლი, განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტები, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია, 1–2 სამეცნიერო ნაშრომი, შრომითი ხელშეკრულება, ამონაწერი თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებიდან, ფოტოსურათი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებით დადასტურდა, რომ პედაგოგების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. თუმცა, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დააფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

- სამი აკადემიური თანამდებობის პირის (პეტრე დაუტაშვილის, ჯანო წულუკიძის და ბესარიონ ნაყოფიას) პირად საქმეში ნანახი იქნა საზღვარგარეთ (რუსეთში) გაცემული დიპლომები (სამივე მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის დიპლომია), რომლებიც ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანის სახით იყო წარმოდგენილი და არა საქართველოში მოქმედი „საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მიხედვით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ რამდენიმე პედაგოგი ორ ან მეტ დაწესებულებაშია სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, რაც ეწინააღმდეგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მე–11 მუხლის „ბ" ქვე პუნქტს.

ვიზიტის დროს გადამოწმდა 2012–2015 წლებში ჩატარებული აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების დუკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი გარემოებები:

- 2013 წლის 2–6 დეკემბერს სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, რომლის დროსაც აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე გაუქმდა რექტორის 2012 წლის 9 ნოემბრის #48 , 2012 წლის 21 მარტის #124 და 2012 წლის 12 იანვრის # 78 ბრძანებებით ჩატარებული 3 კონკურსის შედეგი;
- აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორების მიზნით 2013 წლის 30 დეკემბრის რექტორის ბრძანება #63 – ით 2012 წელს გამოცხადებული 3 კონკურსის (რომელზედაც მონიტორინგის ჯგუფი მიუთითებს დასკვნაში) შედეგი გამოცხადდა გაუქმებულად 2014 წლის 31 იანვრიდან (საქართველოს შრომის კოდექსის 38 მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტების სრული დაცვით) (აღნინული კონკურსის შედეგად არჩეული იყო 19 აკადემიური თანამდებობის პირი) 2014 წლის 31 იანვრის ბრძანება #1–ის საფუძველზე კი შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა აკადემიური თანამდებობის 16 პირს (დანარჩენი სამი ამ დროისათვის შრომით ურთიერთობაში არ იმყოფებოდა დაწესებულებასთან);
- მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი დაემთხვა დაწესებულების მიერ ახალ გამოცხადებულ კონკურსს 14 აკადემიური თანამდებობის (4 პროფესორი და 10 ასოცირებული პროფესორი) დასაკავებლად (ბრძანება #54, 2013 წლის 29 ნოემბერი– დანართი # 1). განცხადება კონკურსის თაობაზე დაიბეჭდა გაზეთ „24 საათში“ 30 ნოემბერს, რომლის თანახმად ღია კონკურსი ცხადდებოდა 2 დეკემბერს, საბუთების მიღების ვადად კი განსაზღვრული იყო 2014 წლის 6–10 იანვარი, ანუ საბუთების მიღება გრძელდებოდა სულ 5 დღე, რაც წინააღმდეგობაში იყო შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტთან („საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ერთი კვირის ვადით“). კონკურსის ჩატარების თარიღად მითითებული იყო 14 იანვარი;
- მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოჩენის საფუძველზე დაწესებულებამ ბრძანებაში მიმდინარე კონკურსთან დაკავშირებით შეიტანა ცვლილება, რაც 2013 წლის 19 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე. ჩასწორების შედეგად კონკურსი ნაცვლად 2 დეკემბრისა ცხადდებოდა 4 დეკემბერს, საბუთების მიღების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 6–18 იანვარი, ხოლო კონკურსის ჩატარების თარიღად – 24 იანვარი. გარდა ამისა, ცვლილება შეეხო აკადემიური პერსონალის რაოდენობას – აგრარული მიმართულებით დაემატა პროფესორის ერთი ვაკანსია, ანუ ნაცვლად 14–ისა, გამოცხადდა 15 ვაკანტური პოზიცია (5 პროფესორი და 10 ასოც. პროფესორი). აღნიშნული კონკურსი ჩატარდა საკონკურსო ვადებისა და პირობების სრული დაცვით;
- მონიტორინგის ზემოაღნიშნული ვიზიტის შედეგების ავტორიზაციის საბჭოზე (2014 წლის 24 იანვარი) განხილვამდე, რექტორის #58 – ე ბრძანებით (2013 წლის 24 დეკემბერი) 25 დეკემბრიდან გამოცხადდა ღია კონკურსი საკონკურსო ვადებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით (განცხადება გამოქვეყნდა 25 დეკემბერს გაზეთ „24 საათში“): საბუთების მიღების პერიოდად განისაზღვრა 2014 წლის 25 იანვარი – 6 თებერვალი, კონკურსის ჩატარების თარიღად – 12 თებერვალი. აღნიშნული კონკურსის დასკვნითი ეტაპი ჩატარდა მონიტორინგის დასკვნის ავტორიზაციის საბჭოზე განხილვის შემდეგ კანონმდებლობის წესების სრული დაცვით. კონკურსის შედეგად არჩეული იქნა 21 აკადემიური თანამდებობის

მქონე პირი, რომელთა უმრავლესობაც 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით ხელშეკრულება შეწყვეტილი პირი იყო.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე კონკურსი ჩატარდა ასევე მოქმედი კანონდებლობის დაცვით. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჯგუფის 16–17 ივნისის ვიზიტის პერიოდშიც დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ექსპერტების მიერ დაფიქსირდა, რომ ყველა კონკურსის დოკუმენტაცია მოყვანილი იყო შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან, გარდა 2013 წლის 4 მარტის #83 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსისა:

- აღნიშნული ბრძანებით გამოცხადდა ღია კონკურსი სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების (3 სრული პროფესორისა და 8 ასოცირებული პროფესორის) დასაკავებლად. ბრძანებაში არ არის მითითებული კონკურსის ჩატარების პირობები და ვადები. ხოლო მასმედიით გავრცელებულ განცხადებაში მითითებულია, რომ საკონკურსო განაცხადების მიღება იწარმოებს 2013 წლის 4–9 აპრილის ჩათვლით, ანუ სულ 6 დღე, რაც ეწინააღმდეგება შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტს – „საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს სამი კვირის ვადით“. კონკურსი ჩატარდა 2013 წლის 13 აპრილს და არჩეულ იქნა 2 სრული და 5 ასოცირებული პროფესორი.

აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა, ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ იქნა შემდეგი გარემოებები:

- პედაგოგიურ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი არასრულყოფილია: ხელშეკრულების საგანსა და პირობებში ზოგადადაა მითითებული დასაქმებულის მიერ სასწავლო უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა (მაგ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) და არ კონკრეტდება სამსახურებრივი უფლებამოსილება: რომელ საგანმანათლებლო მიმართულებაზე/პროგრამაზე ნიშნავენ/იწვევენ პედაგოგს ან რა სასწავლო კურსის განხორციელება ევალება მას, თუმცა, თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებაში მითითებულია ის მიმართულება, სადაც არჩეულ და დანიშნულ იქნა თითოეული მათგანი;
- ზოგიერთ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ხელფასის რაოდენობა და/ან მისი გაცემის პერიოდულობა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა რა რაოდენობის იყო ასეთი სახის ხელშეკრულებები.

ექსპერტის განმარტებით, ასეთი სახის ხელშეკრულებები ბევრი არ იყო და ისინი დანართის სახით წარმოდგენილი იყო ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს და აღნიშნეს, რომ დაწესებულება დაფუძნდა 1995 წელს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის სახელწოდებით, რის შემდეგაც 2013 წლიდან სახელწოდება შეიცვალა და დაერქვა სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. სტუდენტთა ზღვრული ადგილების რაოდენობა დაწესებულებაში ყოველი ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ თანდათან მატულობდა, ამ ეტაპზე 898 აქტიური სტუდენტი ირიცხებოდა დაწესებულებაში. სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა კი 1500 ადგილი იყო. მათი განმარტებით, დაწესებულება ერთ-ერთი რეიტინგის მიხედვით, 15 საუკეთესო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის მე-9 ადგილზე იყო. დაწესებულება განთავსებული იყო 3 შენობაში. სტუდენტები აქტიური სტუდენტური ცხოვრებით იყვნენ დაკავებულნი, ისინი მონაწილეობას იღებდნენ შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებში. დაწესებულებაში ძალიან ბევრი დევნილი სტუდენტი ირიცხებოდა, რაც მეტწილად განპირობებული იყო კონფლიქტურ ზონასთან სიახლოვით.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაწესებულება დაუკავშირდა იმ პროფესორებს, რომელთა დიპლომებიც საჭიროებდა აღიარებას, მათ მიეცათ გაფრთხილება და ერთი თვის ვადაში თუ არ წარმოადგენდნენ შესაბამისად აღიარებულ დიპლომებს, მოხდებოდა მათი გათავისუფლება დაკავებული აკადემიური თანამდებობებიდან. აღნიშნული ეხებოდა მხოლოდ ორ აკადემიური თანამდებობის პირს, მესამის შემთხვევაში გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და საბუთების არევა მოხდა, ნოტარიუსს შესაბამისად აღიარებული დიპლომი თარგმანის უკანა მხარეს ჰქონდა მიმაგრებული.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობების დაკავებსთან დაკავშირებით, მათ განმარტეს, რომ აქამდე მხოლოდ ზეპირ სიტყვიერ ინფორმაციას იღებდნენ აკადემიური პერსონალისგან, ხოლო მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ შეიმუშავა სპეციალური ბლანკის ფორმა, რომლის შევსებაც ყველა იმ პირისათვის გახდა სავალდებულო, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია დაწესებულებაში. რაც შეეხებოდა იმ აკადემიური თანამდებობბის მქონე პირებს, რომლებიც დასკვნაში იყვნენ დაფიქსირებული, მათმა უმრავლესობამ შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს მიანიჭა უპირატესობა, ნაწილმა მათგანმა კი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ზოგიერთთან კი ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება ურთიერთობის გაგრძელება.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებს რაც შეეხებოდა, მათი ჩატარების წესი მოყვანილი იყო შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

აკადემიურ პერსონალთან დადებულ შრომითი ხელშეკრულებებთან მიმართებით, მათ განმარტეს, რომ ბრძანებაში და განაცხადში მითითებული იყო ის მიმართულება, სადაც არჩეულ და დანიშნულ იქნა თითოეული მათგანი. ამასთან, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ

დაწესებულების რექტრის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მოხდა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების შესწავლა და მათი გათვალისიწინება.

ირინა ხანთაძემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მიმართ.

საბჭოს წევრის, ნინო ჩინჩალაძის თქმით მას დათვალიერებული ჰქონდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ამასთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ის შენიშვნები, რაც მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა. ამასთან, მიზანშეწონილი იქნებოდა სისტემური მიდგომა გამოიჩინოს მათ მიმართ, რათა მომავალში ტენდენციის სახე არ მიიღოს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 0
წინააღმდეგი-6

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 218030878) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 19:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე